

დედოფალი ევდოკია

ბიზანტიური ლიტერატურის პირველი პერიოდის (IV–VI სს.) ეპიკური პოეზიის ავტორებიდან ჩვენთვის მხოლოდ ევდოკიას ბიოგრაფიაა ცნობილი, რაც, ალბათ, მისმა დედოფლობამაც განაპირობა. ბუნებრივია, იმპერიის სამეფო კარის უმაღლესი წარმომადგენელი ისტორიკოსების ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა. ევდოკიას ცხოვრების შესახებ ცნობებს გვანვდიან როგორც მისი თანამედროვე ისტორიკოსები, ასევე მომდევნო დროის ქრონისტებიც.

„ეკლესიის ისტორიის“ ავტორის სოკრატეს ცნობით, ევდოკია, რომელსაც ნათლისღებამდე ათენაიდა ერქვა, ქალიშვილი იყო ღრმად განათლებული სოფისტი ლეონტისა, რომელიც ათენში ფილოსოფიასა და რიტორიკას ასწავლიდა.¹ ათენაიდა ყრმობიდანვე დაემონაფა მამას, რომელიც რელიგიური მრწამსით წარმართი იყო და მისგან შეიძინა საფუძვლიანი ცოდნა წარმართული მითოლოგიისა და ლიტერატურისა. არაორდინალური ნიჭით დაჯილდოებულ ქალიშვილს რიტორიკის ხელოვნება და ლათინური ენაც შეუსწავლია.

ლეონტი შედარებით ადრე გარდაიცვალა და თავის ასულს ძმებთან შედარებით მეტისმეტად მწირი მემკვიდრეობა დაუტოვა. ძმებთან კონფლიქტის ნიადაგზე ათენაიდამ ათენი დატოვა და სამართლის საძებნელად კონსტანტინეპოლს გაემგზავრა. ახალგაზრდა ქალისადმი წარმართული სამყაროს ღრმა პატივისცემას უნდა ადასტურებდეს გადმოცემა იმის თაობაზე, რომ კონსტანტინეპოლის გზაზე დამდგარი ათენაიდა ათენიდან შვიდმა ბრძენმა გააცილა.

¹ სოკრატე, ეკლესიის ისტორია, VII, 21.

დედაქალაქში ჩასული ათენაიდა მამიდამ, რომელიც იმპერატორის კარზე მიღებული პიროვნება იყო, იმპერატორი თეოდოსი II-ის დას, პულხერიას წარუდგინა. გონიერმა, განათლებულმა და იშვიათი სილამაზით დაჯილდოებულმა ათენაიდამ დედოფალი პირველი შეხვედრისთანავე ისე მოხიბლა, რომ მან იგი იმპერატორისთვის შესაფერის მეუღლედ მიიჩნია და იმ პირობით, რომ ქორწინებამდე მოინათლებოდა, თეოდოსისთან დაქორწინება შესთავაზა. ათენაიდა ეპისკოპოსმა მონათლა და ევდოკია უწოდა. ევდოკიამ და იმპერატორმა თეოდოსი II (მცირედ წოდებულმა) 421 წელს იქორწინეს. 430 წელს ბიზანტიის დედოფალმა იერუსალიმს იმოგზაურა მაცხოვრის საფლავისა და სხვა წმინდა ადგილების მოსალოცად. მისი ორი ქალიშვილიდან უმცროსი ყრმობაშივე გარდაიცვალა, ხოლო უფროსი ჯერ კიდევ ორი წლის ასაკში დანიშნეს ჰონორიუსის შვილიშვილზე, ხუთი წლის ვალენტიანიანზე და შემდეგში დასავლეთ რომის იმპერიის დედოფალი გახდა.

როგორც თეოფანე ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, ევდოკიას ბრალად იმპერატორის მეგობრისა და სამეფო კარის დიდი მოხელის, სილამაზით განთქმული პავლინესადმი გადაჭარბებული კეთილგანწყობა დასდეს. მომდევნო დროის ავტორებმა ეს ისტორია საკუთარი ფანტაზიის წყალობითაც შეავსეს და ასე გაჩნდა მოთხრობა უჩვეულო სილამაზის ვაშლზე, რომელიც თეოდოსის მიართვეს, ხოლო მან, თავის მხრივ, მეუღლეს გაუგზავნა. სწორედ ეს ვაშლი გახდა მიზეზი იმპერატორის ეჭვიანობისა, რადგან იგი მას პავლინეს ხელით დაუბრუნდა. ამ ფაქტმა თეოდოსი ცოლის ღალატში დაარწმუნა, რასაც შედეგად პავლინეს დასჯა და ევდოკიას იერუსალიმში გადასახლება მოჰყვა (440 წ.). ამ სახის მოთხრობებში ფაქტები მხოლოდ პავლინეს დასჯა და ევდოკიას გადასახლებაა; ამიტომაც ზოგიერთი ისტორიკოსი მათ ერთმანეთთან კავშირის გარეშე გადმოსცემს. მკვლევართა უმეტესობა ფიქრობს, რომ

ევდოკია ცილისწამებას ემსხვერპლა, რადგან პულხერიას ძმაზე გავლენის დაკარგვისა შეეშინდა და რძალი იმპერატორსა და სამეფო კარს² ამ გზით ჩამოაშორა, რასაც ვერ გავიზიარებთ. საეჭვოა, ყმანვილობიდანვე ღრმად მორწმუნესა და მაღალი ზნეობით გამორჩეულ პულხერიას, რომელიც შემდეგში ეკლესიამ, მის წინაშე დამსახურების გამო, წმინდანად შერაცხა, ამგვარი უკადრისი ხერხისათვის მიემართა ევდოკიას სამეფო კარიდან გასაძევებლად.

გადასახლების სიმძიმე დედოფალს კითხვის სიყვარულმა შეუმსუბუქა, განსაკუთრებით ფილოსოფიურ-რელიგიური წიგნების კითხვა იტაცებდა. დაკავებული იყო, აგრეთვე, ქველმოქმედებითა და ტაძართა მშენებლობით. მის სახელს რამდენიმე ეკლესიის აგება უკავშირდება. ამ პერიოდისათვის სირია-პალესტინას მონოფიზიტური ერესი აშფოთებდა. წარმართული ფილოსოფიით აღზრდილი ევდოკიასათვის უფრო გასაგები და მისაღები მონოფიზიტობა აღმოჩნდა და ამიტომ იგი მის მიმდევრებს მფარველობდა, მაგრამ როცა მეოთხე მსოფლიო კრებამ ქალკედონში მონოფიზიტობა ერესად გამოაცხადა, ევდოკიამ ეკლესიასთან ერთობაში დარჩენა ამჯობინა. იგი იერუსალიმში გარდაიცვალა 460 წელს. ზოგიერთი ქრონისტის გადმოცემით, სიკვდილის წინ მან დაიფიცა, რომ მეუღლის ღალატის ცოდვა ჩადენილი არ ჰქონია.

აღსანიშნავია, რომ ქართლის მეფის, ვარაზ-ბაქარის ძეს, მურმანს მძევლობა ბიზანტიის სამეფო კარზე ევდოკიასა და თეოდოსი მცირის უფროსი დის – პულხერიას დედოფლობაში მოუხდა. პეტრე იბერის (მურმანს მონაზვნად აღკვეცის შემდეგ პეტრე ეწოდა) ცხოვრებაში, რომელიც მის მონაფეს, ზაქარია ქართველს ეკუთვნის, ვკითხულობთ, რომ თეოდო-

² Грабарь-Пассек, Императрица Евдокия (Афинаида), Памятники византийской литературы, IV–IX веков, М., 1968, გვ. 133.

სი ყრმა იბერიელ უფლისწულს საკუთარი შვილივით ზრდიდა.³ სავა-
რაუდოა, მურმანის აღზრდისა და განათლების საქმეში წვლილს
დედოფლებიც – ევდოკია და პულხერიაც შეიტანდნენ, მით უმეტეს, რომ
ევდოკიას მურმანის აღზრდასთან დაკავშირებით იხსენებს „საეკლესიო
ისტორიაში“ ზაქარია რიტორიც.⁴

რაც შეეხება სამწერლო ასპარეზზე ევდოკიას მოღვაწეობას, მას
ეპიკური პოეზიის საზომით – დაქტილური ჰექსამეტრით გაუღექსავს
ბიბლიური მოთხრობანი ძველი და ახალი აღთქმიდან და ზაქარიასა და
დანიელის წიგნები; ასევე დაუნერია პანეგირიკული თხზულებანი: „ქება
ანტიოქიისა“ და სახოტბო ოდა, მიძღვნილი იმპერატორი თეოდოსისადმი
სპარსეთზე გამარჯვების აღსანიშნავად (422 წ.), თუმცა ამ ბრძოლაში
მის მეუღლეს პირადად მონაწილეობა არ მიუღია. გარდა ამისა, მას
ეკუთვნის პოემა „კვიპრიანეს შესახებ“. ზემოთ ჩამოთვლილი თხზუ-
ლებებიდან ჩვენამდე მხოლოდ ახალი აღთქმის პარაფრაზებმა და
კვიპრიანეს ლექსად გადმოცემულმა ცხოვრებამ მოაღწია და ისიც
არასრული სახით: პირველმა წიგნმა დასაწყისის, ხოლო მეორემ – და-
სასრულის გარეშე, რაც შეეხება მესამე წიგნს, იგი მთლიანად დაიკარგა.
საბედნიეროდ, ჩვენ სამივე წიგნის შინაარსი ვიცით პატრიარქი ფოტი-
ოსის წყალობით, რომლის წრეშიც ევდოკიას თხზულებაც წაუკითხავთ
და შინაარსი „მირიობიბლიონში“ შეუტანიათ.

აღსანიშნავია, რომ ევდოკიას ორიგინალურ თხზულებად ვერც პოემა
„კვიპრიანეს შესახებ“ ჩაითვლება, რადგან მანამდე არსებობდა ჰაგიო-
გრაფიული თხზულება, რომელშიც წარმართი მოგვის კვიპრიანეს მოქცე-
ვა იყო აღწერილი. როგორც ჩანს, ეს პროზაული ნაწარმოები
გასაღექსად პოეტ ქალს შემთხვევით არ აურჩევია. კვიპრიანეს ცხოვრება

³ ძვ. ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, წიგნი II, თბ., 1962, გვ. 218.

⁴ გეორგიკა, ტ. III, გვ. 4.

მას საშუალებას აძლევდა იმ ცოდნის გამოყენებისა, რომელიც მან ათენში, მამის ხელმძღვანელობით, წარმართულ რელიგიასა და მითოლოგიაში დააგროვა, სახელდობრ, მას შეეძლო ნათლად აღენერა ის გზა, რომელიც კვიპრიანემ მოგვობის ხელოვნებაში სრულყოფისათვის განვლო.

ევდოკიას პოემიდან შემორჩენილ პირველ წიგნში მოთხრობილია როგორ შეიპყრო ქრისტიან ქალწულ იუსტინასთან სასიყვარულო ურთიერთობის მძაფრმა სურვილმა ვინმე ჭაბუკი აგლაიდი და რადგან მიზანს ვერ მიაღწია, დახმარება სახელგანთქმულ მოგვს – კვიპრიანეს სთხოვა. ქალწულისადმი თვითონ კვიპრიანეც იმავე სურვილით აღინთო და მის დასამორჩილებლად მთელი თავისი ხელოვნება, რომლის შესწავლასაც მრავალი წელი მოანდომა, გამოიყენა, მაგრამ ამაოდ. იუსტინამ ქრისტესადმი აღვლენილი ლოცვებითა და პირჯვრის გამოსახვით ადვილად განდევნა კვიპრიანეს მიერ მიგზავნილი ბოროტი სულები, რომელნიც მასში ვნების ცეცხლის დაგზნებას და ცდუნებას ცდილობდნენ. კვიპრიანესთან დაბრუნებული დემონები, შერცხვენილნი და გამოდევნილნი, თავიანთ სრულ უძლურებას თვითონვე აღიარებდნენ. მაშინ კვიპრიანე მიხვდა, რომ ძალა, რომელსაც ემსახურებოდა და უძლეველად წარმოედგინა, სინამდვილეში ღმრთის წინაშე არც არსებობდა, რომ სიყმანვილისა და ახალგაზრდობის საუკეთესო წლები უშედეგოდ შეაღია იმ ცოდნის შეძენას, რომლითაც ერთი სუსტი ქალწულის დამარცხებაც კი ვერ შეძლო. ამიტომ დაარღვია დემონისათვის მიცემული ფიცი, „რომ ბოროტებას არასოდეს განუდგებოდა“, ქრისტეს მაძიებელმა ეშმაკი გააძევა, მონაგები ლატაკებს დაურიგა, ხოლო მაგიური წიგნები ერთად შეაგროვა და დანვა.

მეორე წიგნი პოემისა „კვიპრიანეს აღსარების“ სახელითაა ცნობილი. უწინარესად იგი ინტერესს ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით

ინვესს, რადგან „ამ ნაწილში მჟღავნდება ავტორის საფუძვლიანი ცოდნა ბერძნული მითოლოგიის, რელიგიის, ადათ-წესების და ხალხური რწმენებისა“.⁵

კვიპრიანე, რომელიც განვლილი ცხოვრების გამო ღრმა და გულწრფელმა სინანულმა შეიპყრო, აღსარებას იწყებს სიტყვებით: „უცხოვრია კი ამ ქვეყნად ადამიანს, რომელიც იმგვარი ბინიერებით იქნებოდა აღსავსე, როგორითაც მე ცოდვილი, ვინც დემონებს დავემორჩილე?“

მშობლების გადანყვეტილებით, კვიპრიანე აპოლონის მსახური და მისი „ხმაურიანი ორგების“ მხილველი ყრმობაშივე გახდა. შვიდი წლის არც იყო, რომ მითრა ფაეტონის⁶ კულტმსახურებაში იღებდა მონაწილეობას, ხოლო ათი წლისას დემეტრეს ჩირალდანი ეჭირა და, ბრწყინვალე პროცესიის მონაწილე, მისი ასულის პერსეფონეს⁷ დაკარგვას გლოვობდა. შემდეგ იგი ოლიმპოს მთაზე ავიდა, რომელიც ძველი ბერძნების წარმოდგენით, ღმერთების სამკვიდრებელს წარმოადგენდა. კვიპრიანეს აღწერით, ოლიმპო მართლაც აღმოჩნდა სამკვიდრებელი, ოღონდ ბოროტი და საშიში დემონებისა. ბოროტი სულები მის წინაშე ფერხულს ცეკვავდნენ და საზარელ სიმღერებს მღეროდნენ. მისი თქმით, ოლიმპოდან დედამიწისკენ მრავალი სული მოფრინავდა, რომელნიც ადამიანებს მათი უკეთური სურვილების აღსრულებას აიძულებდნენ.

15 წლის რომ გახდა, კვიპრიანემ მიზნად „ღმერთებისა და სულების ბუნების“ შეცნობა განიზრახა. და შვიდი დიდად განბრძნობილი ქურუმისაგან ყოველი დემონის ძალისა და საქმეთა შეცნობა შეისწავლა.

⁵ Фрейберг Л. А. Византийская поэзия IV-X вв. и античные традиции, წიგნში Византийская литература, М., 1974, გვ. 42.

⁶ ფაეტონი მზის ღმერთის – ჰელიოსის ვაჟი იყო. ეპითეტი მითრა ამ შემთხვევაში ბერძნულ-სპარსული წარმართული რელიგიების სინკრეტიზმზე მიუთითებს, რადგან მითრა ძველ სპარსულ მითოლოგიაში მზის ღმერთს ერქვა.

⁷ პერსეფანე – დემეტრეს ქალიშვილი, რომელიც ქვესკნელის ღმერთმა ჰადესმა მოიტაცა და თავის მიწისქვეშა სამეფოში ჩაიყვანა.

მშობლებს სურდათ, რომ კვიპრიანეს ყოველივე სცოდნოდა: ის, რასაც მიწა ფარავს და ის, რაც ზღვის უფსკრულებსა თუ ატმოსფეროს შინაა. კვიპრიანემ მართლაც შეიძინა, რომ გარდა იმისა, რაც აშკარად დამლუპველია ადამიანებისათვის, თვით ყვავილოვანსა და ყველაზე ლამაზ მცენარეთა წვენშიც კი, მათი სხეულებისათვის მომაკვდინებელი სანამლავი იმალება; შეიტყო, აგრეთვე, ისიც, რასაც ამ სამყაროს მბრძანებელი ბოროტი სული უკვდავი და ბრძენი ღმერთის განგებულებათა გასანადგურებლად განიზრახავს.

ამის შემდეგ კვიპრიანე ცხენმრავალ არგოსში გაემართა და იქ ტითონის მარადიული მეუღლის, ეოსის პატივსაცემად გამართულ საიდუმლოებაში მიიღო მონაწილეობა. იქ შეიძინა, რომ სამყარო ჰაერის გრიგალითაა გარემოცული, რომ ჭავლები და ნაყოფიერი მიწა, წვიმის ნაკადები და ღმრთეებრივი ძალა ჰაერისა ერთმანეთს ენათესავენ. როგორც ვხედავთ, პოემის ამ ნაწილში ავტორი დემონოლოგიასთან ერთად საბუნებისმეტყველო ცოდნის გადმოცემასაც ცდილობს.

არგოსიდან წამოსული კვიპრიანე სპარსეთისკენ მიმავალ გზას დაადგა, რათა თაყვანი ეცა არტემიდე ტავროპოლელის ხის კერპისათვის და ნივთიერებათა არსი, მრავალფეროვანი მეტალების ბუნება, რიცხვები, სურათები და ნიშნები, რომლებითაც სამყაროა მოხაზული, შეესწავლა. ფრიგიაში იგი მსხვერპლის ღვიძლზე დაკვირვებით მომავლის წინასწარმეტყველების ხელოვნებას დაეუფლა; სკვითებმა კვიპრიანეს ფრთოსანთა გალობიდან და გაქცეული მხეცის მიხვეულ-მოხვეული ნაკვალევიდან ნიშნების გამოცნობა ასწავლეს. გაიგო, აგრეთვე, ფასი ფიცისა, მართალი იყო იგი, თუ ცრუ; ხედავდა, სურვილს როგორ მიჰყავდა ადამიანები არასასურველი შედეგისაკენ. ასე რომ, რაც კი ამ დედამიწაზე არსებობს: მრავალფეროვანი ოცნებანი, მზაკვარი გონების ფარული განზრახვანი, გამონაგონები გაქნილი გონებისა, ცრუ, მაცდუნებელი

თილისმანი თუ ბინიერი გზები დანაშაულთა, – მისთვის დაფარული აღარ იყო.

ოცი წლის კვიპრიანე ეგვიპტეს ესტუმრა და მემფისის გარეუბანში მიწისქვეშა სამეფოში ჩავიდა. იქ მან შეიცნო სულები, რომელნიც ადამიანურ ბინიერებებს – ტყუილს, შურს, გულღრძობას, შურისმაძიებლობასა და ა. შ. განასახიერებდნენ.

დემონოლოგიასა და მაგიის ხელოვნებაში განსწავლა კვიპრიანემ ოცდაათი წლის ასაკში „ქალდეველთა ხელოვნების“ ანუ ვარსკვლავთმრიცხველობის შესწავლით დაასრულა. განსწავლულ მოგვს სიბნელის თავადი, დემონთა მთავარი სატანა პირადად შეხვდა და სამყაროზე მეუფებისათვის ბრძოლაში მის მხარეზე დადგომა შესთავაზა. გამომშვიდობებისას იგი ტახტიდან წამოდგა და კვიპრიანეს გზა დაულოცა, რითაც ყველა გააოცა. ამის შემდეგ დემონები, რომელნიც სიბნელის თავადს უშუალოდ ემსახურებოდნენ, კვიპრიანეს განსაკუთრებული პატივისცემით ექცეოდნენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ პოემის ამ ადგილას გვაქვს ლიტერატურაში იშვიათი მცდელობა სატანის პორტრეტის დახატვისა,⁸ მაგრამ ორიგინალური ევდოკია არც ამ შემთხვევაშია: სატანის პორტრეტი უკვე „კვიპრიანეს ცხოვრების“ პროზაულ თხზულებაში არსებობდა, რომელიც ევდოკიამ თავის პოემაში თითქმის უცვლელად გადმოიტანა. კვიპრიანეს თქმით, სიბნელის თავადის მრისხანედ მბრწყინავი სახე ოქროს ყვავილს ჰგავდა, ცეცხლისფერი კულულებით შემოსილ თავს გვირგვინი უმკობდა, ვითარცა დიდი კოცონი, ძვირფასი ქვების ბრწყინვა დარბაზს ნათელს ჰფენდა, გამოხედვა ელვარე ჰქონდა,

⁸ Византийская литература,... გვ. 44.

ვითარცა ცეცხლი; და აყვავებული ბალით გარემოცული ვარსკვლავთა შორის იჯდა.

მიზეზად იმისა, თუ რატომაა წარმოდგენილი სიბნელის თავადი ნათლის გამომხატველი ეპითეტებითა და სახეებით, ევდოკიაც იმავეს ასახელებს, რასაც კვიპრიანეს შესახებ დაწერილი ჰაგიოგრაფიული თხზულების ავტორი, სახელდობრ, ნათელი, რომლითაც იგია გარემოცული, არა სუბსტანციურია, არა არსებული და მოჩვენებითი; „მტრობს რა მარადიულ, უკვდავ მეუფეს და ყოველივეს, რაც მან შექმნა, სატანა მხოლოდ ბაძავს მას და მის გარემოცვას“.⁹ ბუნებრივია, მას რომ ეს უნარი – მოჩვენებითი ნათლის ტარებისა (სწორედ ამიტომაც ეწოდება ლუციფერი (ლათ.) და fwsforo~) არ ჰქონდეს და თავისი ნამდვილი სახით ერვენოს ადამიანებს, მათ მოტყუებასა და ცდუნებას ვერ შეძლებდა. მაგრამ ეს სინამდვილეში არარსებული მოჩვენებითი ნათელიც სატანას მხოლოდ იმათ თვალში მოსავს, რომელთაც სუსტი გონება აქვთ და ჭეშმარიტების გზას არიან აცდენილნი. სატანის მიერ მზაკვრული ხელოვნებით წარგზავნილი აჩრდილები, რომელთა შორისაც დემონების ძალა იფარება, ჭეშმარიტ სინამდვილესთან საბრძოლველად მთელ სამყაროში დაფრინავენ.

პოემის ის ადგილი, სადაც დემონური ძალის ამოება ქმედებათა შედეგებითაა წარმოჩენილი, ჭეშმარიტად მხატვრული სიტყვის ოსტატის მიერაა დაწერილი: „აჩრდილებს ძალუძთ თავსხმის წარმოგზავნა, მაგრამ მათ წვიმას ტენი აკლია; შეუძლიათ კოცონი გააჩაღონ, მაგრამ ალი მისი ყინულზე ცივია, თევზთა ქარავნებსაც წარმოაჩენენ, მაგრამ ამ თევზებს

⁹ შდრ. „საქმენი კვიპრიანესი და სინანული მისი“, გამოსცა ედიშერ ჭელიძემ, საღმრთისმეტყველო კრებული 3, საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო, თბ., 1988, გვ. 312. „...რამეთუ მიემსგავსა ყოველთა დაბადებულთა ღმრთისათა: ვარსკულავთა და ხეთა და სხუასაცა მსგავსებასა მრავალსა, რათა ჰქედბოდის ღმერთსა და ანგელოზთა მისთა, რომლითა უნებს ცთუნებაჲ კაცთაჲ, ვითარმედ ღმერთ არს“.

ვერავინ დაიჭერს. ძალუძთ ოქროს მთები შემოგთავაზონ, მაგრამ ძღვენი მათი – შესაბრალისი სილატაკეა“.

ამაში კვიპრიანე თვითონ დარწმუნდა, როცა იხილა ქალწულის სინმინდის წინაშე როგორ გრძნობდნენ თავიანთი ძალის ამაოებას დემონები და შიშით გარბოდნენ. იუსტინას გამარჯვებამ იგი მიახვედრა, რომ სამყაროს ცრუ მეუფეს მრავალი რამის ქადილით დაპირება შეუძლია, მაგრამ ასრულება – არაფრის. ის, ვინც გრძნებით ყველა კარს ალებდა, უძლური გახდა წინაშე ქალწულისა; ვისაც თავი ყოველთა მეუფედ წარმოედგინა – სინმინდემ დაამარცხა; სისხლმონყურებულ ლომობაზე მეოცნებე, იუსტინას სახლის წინაკარიდან, ვითარცა მწერი, განიდევნა, ქალური ძალით შერცხვენილი და სასაცილოდ აგდებული.

როგორც ვხედავთ, პოემის მეორე წიგნში, რომელიც „კვიპრიანეს აღსარების“ სახელითაა ცნობილი, დემონოლოგია წარმართულ რელიგიასა და მის კერპებთანაა გაიგივებული.

მესამე წიგნში ევდოკიას პოემისა, რომელიც არცერთ ხელნაწერში არ აღმოჩნდა, მოთხრობილი იყო, როგორ დაადგა კვიპრიანე მის მიერ უკვე განვლილი გზის საპირისპირო გზას ჭეშმარიტებისა. ნათლისღების შემდეგ მან ეკლესიაში სამსახური უმდაბლესი საფეხურიდან დაიწყო, შემდეგ მღვდელი გახდა, ხოლო ბოლოს კართაგენის ეპისკოპოსად იქნა დადგენილი. ყოფილმა მოგვმა ქრისტე ისე შეიყვარა, რომ მისი რწმენის დასაცავად სიცოცხლის გაღებაც კი შეძლო; ქრისტიანთა მორიგი დევნისას ის და იუსტინა შეიპყრეს და საპყრობილეში გამოკეტეს; ხოლო როცა დარწმუნდნენ, რომ ჭეშმარიტ რწმენას ვერ დაათმობინებდნენ, ორივენი სიკვდილით დასაჯეს. კვიპრიანე დარწმუნდა ევსევის სიტყვების სიმართლეში იმის თაობაზე, რომ მოწყალეა ღმრთისა ყოველგვარ დანაშაულს აღემატება. ღმერთმა შეინირა მისი წრფელი

სინანული და საშუალება მისცა, ურიცხვი და ერთმანეთზე უფრო საზარელი დანაშაული მოწამეობრივი აღსასრულით გამოესყიდა.

როგორც გრაბარ-პასეკი წერს: „თავისებური ინტერესი ამ მოთხრობის მიმართ იმთაა გამოწვეული, რომ კვიპრიანეს სახელის ქვეშ ორი, ერთი შეხედვით, დიამეტრიულად სანინააღმდეგო სახეა გაერთიანებული: კართაგენის ეპისკოპოსის კვიპრიანესი, ცნობილი მწერალი-დოგმატიკოსისა, რომელიც კანონიზირებულია როგორც წამებული,¹⁰ და აღმოსავლეთში სახელგანთქმული ლეგენდარული მოგვისა, რომელიც ამავე სახელს ატარებდა; მის შესახებ მრავალი ლეგენდა არსებობდა, – შეთანხმებაზე, რომელიც მან სატანასთან დადო, დანაშაულებზე, რომელიც მან უწმინდური ძალის დახმარებით ჩაიდინა და ა. შ.“¹¹

ბიზანტიურ სამყაროში ევდოკიას პოემისადმი მკითხველი საზოგადოების დამოკიდებულებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ხელნაწერში, რომელიც X საუკუნით თარიღდება, იგი გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიისა და ნონოს პანოპოლისელის მიერ დაქტილური ჰექსამეტრით გალექსილი იოანეს სახარების გვერდითაა მოთავსებული.

მოგვეყოფილი კვიპრიანეს შესახებ დაწერილი ჰაგიოგრაფიული თხზულება ძველ ქართულ მწერლობაშივე ითარგმნა, ხოლო რაც შეეხება ევდოკიას პოემას, მისი პირველი წიგნის თარგმანი ნ. ტონიას¹² ეკუთვნის და დაბეჭდილია კრებულში „საფოდან კასიამდე“.

¹⁰ კვიპრიანე კართაგენელს, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებლობისათვის 258 წელს სიკვდილით დასაჯეს, მართლაც ღრმად ჰქონდა შესწავლილი ანტიკური ფილოსოფია და ლიტერატურა, მაგრამ გრძნობდა, რომ ჭეშმარიტება სხვაგან უნდა ეძებნა. როგორც გადმოგვცემენ, იგი ზნეობრივი სინამდითა და კეთილშობილებით მანამდეც გამოირჩეოდა, ვიდრე გაქრისტიანდებოდა. მისი საღმრთისმეტყველო თხზულებებიდან ჩვენამდე მიღწეულია: „კერპთა ამაოების შესახებ“, „დაცემულთა შესახებ“, „ეკლესიის ერთობის შესახებ“, „უფლის ლოცვის შესახებ“, „ეჭვიანობისა და შურის შესახებ“. გრიგოლ ღმრთისმეტყველმა სახოტბო სიტყვაში, რომელიც კვიპრიანეს მიუძღვნა, მას ასე მიმართა: „ოდესღაც იყავ დიდება კართაგენისა, ახლა კი მთელი სამყაროსი ხარ“.

¹¹ Грабарь-Пасек М. Е. Императрица Евдокия, გვ. 133-134.

¹² იხ. საფოდან კასიამდე, ბერძნული და ლათინური ენებიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ნანა ტონიამ. თბ., 1990 წ.

